სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში

სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი

პრეამბულა

1. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (შემდგომში - აკადემია) მიზნად ისახავს აკადემიაში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნას და აცნობიერებს, რომ:

ა) სექსუალური შევიწროება არის დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც პირისთვის ქმნის არაკომფორტულ და დამამცირებელ გარემოს;

ბ) სექსუალურ შევიწროებას შესაძლოა დაექვემდებაროს ნებისმიერი პირი მისი სქესის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური სტატუსის, სამსახურებრივი პოზიციის ან სხვა ნიშნის მიუხედავად;

გ) სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანებს შორის;

დ) სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ქცევას, რომელიც მეორე პირისთვის არანებაყოფლობითი და არასასურველია და მას არაკომფორტულ გარემოს უქმნის, არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება;

ე) სექსუალური შევიწროება მსხვერპლის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებით უარყოფით ეფექტს ახდენს, მათ შორის, ამცირებს მის სამუშაო და სწავლის პროდუქტიულობას;

ვ) სექსუალური შევიწროების ერთ-ერთი მძიმე ფორმა არის მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რაც პირისთვის სექსუალური მომსახურების ნაცვლად რაიმე სახის სარგებლის შეთავაზებას გულისხმობს;

ზ) სექსუალურ შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს აკადემიის პერსონალის, სტაჟიორის ან/და სტუდენტის მხრიდან, აკადემიის პერსონალის, სტაჟიორის, სტუდენტის ან/და მესამე პირის მიმართ.

2. იღებს ვალდებულებას სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების შესახებ.

მუხლი 1. დოკუმენტის მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტი ემსახურება აკადემიაში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნას და კრძალავს აკადემიაში ნებისმიერი სახის სექსუალურ შევიწროებას.

2. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის აკადემიად ჩაითვლება ნებისმიერი ადგილი, რომელიც გამოიყენება აკადემიის საქმიანობის მიზნებისთვის, მათ შორის, აკადემიის შენობები, ასევე, შენობის გარეთ სივრცეები და ღონისძიებები, მათ შორის, შეხვედრები, მივლინებები, ტრენინგები, კონფერენციები, აქტივობები სოციალურ ქსელში და აკადემიის საქმიანობის მიზნებისთვის დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ღონისძიებები.

3. სექსუალური შევიწროება შესაძლოა განახორციელოს და სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შესაძლოა იყოს:

ა) აკადემიის პერსონალი;

ბ) სტაჟიორი;

გ) სტუდენტი;

დ) ნებისმიერი მესამე პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება პირმა აკადემიის პერსონალის, სტაჟიორის ან სტუდენტის სტატუსით განახორციელა.

4. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის პერსონალად ჩაითვლება პირი, რომელსაც აკადემიაში უკავია ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო/კვლევითი და მასწავლებლის თანამდებობა/პოზიცია, ასევე, მოწვეული, დამხმარე და შტატგარეშე პერსონალი.

5. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, სტაჟიორად ჩაითვლება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით, ასევე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ან აკადემიის მიერ დამტკიცებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტაჟირების გავლის წესით განსაზღვრული პირი.

6. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, აკადემიის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შეახებ“ საქართველოს კანონითა და აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს აკადემიაში ან/და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში.

მუხლი 2. სექსუალური შევიწროების ცნება

1. სექსუალურ შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.
2. სექსუალურ შევიწროებას აქვს ორი ფორმა:
ა) მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo), რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის მოთხოვნას, რაიმე სახის სარგებლის სანაცვლოდ;
ბ) მტრული სამუშაო გარემო, ანუ სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი პირობების შექმნა.
3. სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოიხატოს, მათ შორის, ღირსების შემლახავ ან პირისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ან შეურაცხმყოფელ სიტყვიერ, არასიტყვიერ და ფიზიკურ ქმედებებში, კერძოდ:
ა) სექსუალური ხასიათის ხუმრობა;
ბ) კომენტარი ადამიანის გარეგნობის, ჩაცმულობის ან პირადი ცხოვრების შესახებ;
გ) კომენტარი ადამიანის სექსუალობის შესახებ;
დ) კომენტარი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ;
ე) კომენტარი საკუთარი სექსუალური გამოცდილების/პრეფერენციების შესახებ;
ვ) სექსუალური ხასიათის სახელების დაძახება;
ზ) განმეორებით არასასურველი დაპატიჟება პაემანზე;
თ) სექსუალური ხასიათის ფოტოს/ვიდეოს ჩვენება, ან ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით გაგზავნა;
ი) სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის ჩვენება;
კ) სექსუალური ხასიათის ტექსტის გაგზავნა ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით;
ლ) პირადი სივრცის დარღვევა/საუბრისას მეორე ადამიანთან ზედმეტად მიახლოება;
მ) მზერა;
ნ) სტვენა;
ო) სახეზე ან სხეულზე (მაგალითად, მხარზე ან წელზე) შეხება;
პ) ჩახუტება;
ჟ) ჩქმეტა;
4. სექსუალური შევიწროების ინდიკატორები, მათ შორის, შესაძლოა იყოს:
ა) ქმედების ხასიათი;
ბ) მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა;
გ) ქმედების ინტენსივობა;
დ) ქმედების განმეორებადობა;
ე) შემავიწროებლის შესაძლებლობა, მოახდინოს მსხვერპლზე გავლენა;
ვ) მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა;
ზ) შემავიწროებელს და მსხვერპლს შორის ურთიერთობა;
თ) სხვა ნებისმიერი ქმედება, რაც შეიძლება სექსუალური შევიწროების ინდიკატორი.

მუხლი 3. საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურა

1. საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურა აკადემიის პერსონალისა და სტაჟიორის წინააღმდეგ ხორციელდება შემდეგი სახით:

ა) ნებისმიერმა პირმა, რომელიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევს, თუ შესაძლებელია, სავარაუდო შემავიწროებელს უნდა შეატყობინოს, რომ მისი ქცევა არის არასასურველი და მიუღებელი;

ბ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი საჩივარს წარადგენს წერილობითი ფორმით;

გ) სავარაუდო მსხვერპლი საჩივარში მიუთითებს სავარაუდო შემავიწროებლის სახელს და გვარს, დაკავებულ თანამდებობას/პოზიციას, მათი სამსახურებრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, სექსუალური შევიწროების ფაქტებს და არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლი საჩივარს თან დაურთავს მტკიცებულებებს (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფაქტის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ);

დ) აკრძალულია ვიქტიმიზაცია სავარაუდო შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო;

ე) სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივარს სექსუალური შევიწროების მსხვერპლი წარუდგინოს აკადემიის რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს);

ვ) თუ მსხვერპლი სტუდენტია, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ, მას შეუძლია მიმართოს ასევე სტუდენტურ ომბუდსმენს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს ან აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტს, რომლებიც ფაქტის შესახებ ატყობინებენ აკადემიის რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს);

ზ) კომისიის შექმნაზე უარის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს გადაეცემა წერილობით დასაბუთებულ გადაწყვეტილება, საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

თ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მიერ წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენის შემდეგ, აკადემიის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) უფლებამოსილნი არიან, ერთობლივი ბრძანებით შექმნან კომისია, რომელიც განიხილავს სავარაუდო შემავიწროებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს;

ი) კომისია შედგება სამი წევრისგან, რომლებიც არიან უნივერსიტეტის პერსონალი;

კ) თუ სავარაუდო მსხვერპლი სტუდენტია, კომისიის შემადგენლობაში ასევე შედის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრია;

ლ) სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს კომისიის რომელიმე წევრის აკადემიის სხვა პერსონალით ან სტუდენტით ჩანაცვლება;

მ) ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილების და კომისიის ალტერნატიული წევრის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ რექტორი და აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ერთობლივი ბრძანებით;

ნ) საქმის წარმოებაში ჩართული პირები ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ მხარეებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაცია.

2. პერსონალის და სტაჟიორის წინააღმდეგ საჩივრის განხილვისას, კომისია:

ა) გამოკითხავს სავარაუდო მსხვერპლს;

ბ) გამოკითხავს სავარაუდო შემავიწროებელს;

გ) გამოკითხავს მესამე პირებს, ვინც შესაძლოა ფლობდეს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) გამოიკვლევს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას;

ე) გამოკვლეული ფაქტობრივი საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით, იღებს დასაბუთებულ წერილობით გადაწყვეტილებას სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ.

3. თუ კომისიის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტი არ დადასტურდება, რექტორი და აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ერთობლივი ბრძანებით წყვეტენ დისციპლინურ წარმოებას.

4. საჩივრის განხილვის ვადები, აკადემიის პერსონალისა და სტაჟიორის წინააღმდეგ საჩივრის განხილვისას, განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) კომისიას იქმნება საჩივრის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;
ბ) სექსუალური შევიწროების საჩივართან დაკავშირებით კომისია გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში;
გ) თუ დისციპლინური გადაცდომისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, 1 თვიანი ვადის გასვლამდე 1 სამუშაო დღით ადრე მაინც, აკადემიის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ერთობლივი ბრძანებით გადაწყვეტილებას იღებენ დისციპლინური წარმოების ვადის დამატებით არაუმეტეს 2 თვით გაგრძელების თაობაზე.

5. საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურა სტუდენტის წინააღმდეგ ხორციელდება შემდეგი სახით:

ა) სექსუალური შევიწროების მსხვერპლს, სტუდენტს მიერ განხორციელებული სექსუალურ შევიწროებას ფაქტის შესახებ, შეუძლია აცნობოს აკადემიის იმ ფაკულტეტის დეკანს, რომელზეც სავარაუდო შემავიწროებელი ირიცხება ან აკადემიის რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს), რომლებიც აღნიშნულის შესახებ ატყობინებენ იმ ფაკულტეტის დეკანს, რომელზეც სავარაუდო შემავიწროებელი ირიცხება;
ბ) თუ მსხვერპლი სტუდენტია, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ შეუძლია მიმართოს ასევე იმ ფაკულტეტის დეკანს, რომელზეც თავად ირიცხება ან სტუდენტს, რომელიც იმავდროულად აკადემიის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრია, რომლებიც სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ აცნობებენ იმ ფაკულტეტის დეკანს, რომელზეც სავარაუდო შემავიწროებელი ირიცხება;
გ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მიერ წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენის შემდეგ, იმ ფაკულტეტის დეკანი, რომელზეც სავარაუდო შემავიწროებელი ირიცხება, ფაკულტეტის საბჭოს აცნობებს სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ, რის შემდეგაც, ფაკულტეტის საბჭო (საჩივრის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში) უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
დ) ფაკულტეტის საბჭო (დისციპლინური წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში, ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გაგრძელებულ - დამატებით არაუმეტეს 2 თვის ვადაში):
დ.ა) გამოკითხავს სავარაუდო მსხვერპლს;
დ.ბ) გამოკითხავს სავარაუდო შემავიწროებელს;
დ.გ) გამოკითხავს მესამე პირებს, ვინც შესაძლოა ფლობდეს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
დ.დ) გამოიკვლევს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას;
დ.ე) გამოკვლეული ფაქტობრივი საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ;
ე) თუ ფაკულტეტის საბჭოს მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტი არ დადასტურდება, ფაკულტეტის საბჭო წყვეტს დისციპლინურ წარმოებას.
ვ) უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ მხარეებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაცია.
6. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა აკადემიის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრების და უსაფრთხოების დაცვას.

მუხლი 4. დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. აკადემიის პერსონალის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, აკადემიის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ერთობლივი ბრძანებით იღებენ გადაწყვეტილებას, შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ:
ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;
გ) უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა არა უმეტეს ექვსი თვისა;
დ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.
2. დაუშვებელია სექსუალური შევიწროების ჩამდენისთვის დისციპლინური ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.
3. სტაჟიორის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, აკადემიის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ერთობლივი ბრძანებით იღებენ გადაწყვეტილებას, შემდეგი სანქციის დაკისრების შესახებ:
ა) გაფრთხილება;
ბ) სტაჟირების შეწყვეტა.
4. სტუდენტის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი სანქციების გამოყენების შესახებ:
ა) საყვედური;
ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
5. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმესა და ხარისხზე.
6. შემავიწროებლის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სანქციის მხოლოდ ერთი სახე.

მუხლი 5. პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელება

1. აკადემიის პერსონალისთვის და სტაჟიორებისთვის სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობის ვალდებულება ეკისრება აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს).
2. აკადემიის სტუდენტისთვის სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობის ვალდებულება ეკისრება იმ ფაკულტეტის დეკანს, რომელზეც სტუდენტი ირიცხება.

მუხლი 6. მონიტორინგი და შეფასება

1. აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ან ვიცე-კანცლერი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების დახმარებით, აწარმოებს სტატისტიკას და ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს (რექტორისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე) წინამდებარე დოკუმენტის შესრულების, ინციდენტების რაოდენობისა და დამდგარი შედეგების შესახებ.

2. აკადემიის ფაკულტეტების დეკანები ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) ან ვიცე-კანცლერს ყოველწლიურად, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდიან სტატისტიკას და ინფორმაციას წინამდებარე დოკუმენტის შესრულების, ინციდენტების რაოდენობის და დამდგარი შედეგების შესახებ.

3. წლიური ანგარიშით გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, აკადემია აფასებს წინამდებარე დოკუმენტის ეფექტურობას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

1. სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებენ აკადემიის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ერთობლივი ბრძანებით.
2. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო შემავიწროებლად მსხვერპლი მიუთითებს რექტორს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ამ დოკუმენტით განსაზღვრული კომისია იქმნება რექტორის (თუ შემავიწროებელი არის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)) ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერის) (თუ შემავიწროებელი არის რექტორი), ხოლო თუ მსხვერპლი ორივე მათგანს მიუთითებს სავარაუდო შემავიწროებლად, აღნიშნული კომისია იქმნება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.